

შ ე ზ დ უ დ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

შ პ ს „ოქროს ხანა“ ს/ნ 400121408

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

- 1.სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 2, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

|                                                     | 12/31/2018     |  | 12/31/2017     |
|-----------------------------------------------------|----------------|--|----------------|
| <b>აქტივები</b>                                     |                |  |                |
|                                                     |                |  |                |
| ფულადი სახსრები                                     | 2065827        |  | 479344         |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 974451         |  |                |
| გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი  |                |  | 63320          |
| <b>მარაგი</b>                                       | <b>558051</b>  |  | <b>1437720</b> |
| _მზა პროდუქცია                                      | 468000         |  | 1432961        |
| _სხვა                                               | 90051          |  | 4759           |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                          |                |  |                |
| ბიოლოგიური აქტივები                                 |                |  |                |
| _თვითღირებულების მოდელით                            |                |  |                |
| _გადაფასების მოდელით                                |                |  |                |
| ძირითადი საშუალებები                                |                |  |                |
| _მიწა                                               |                |  |                |
| _შენობა-ნაგებობები                                  |                |  |                |
| _სხვა ძირითადი საშუალებები                          | 65600          |  | 82000          |
| _არამატერიალური აქტივები                            |                |  |                |
| _საიჯარო აქტივები, საკუთრების გადაცემის პირობით     |                |  |                |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში |                |  |                |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |                |  |                |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                        |                |  |                |
| კაპიტალი (გაუნაღდებელი)                             |                |  |                |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>3663929</b> |  | <b>2062384</b> |
|                                                     |                |  |                |
| <b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>           |                |  |                |
| <b>ვალდებულებები</b>                                |                |  |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 35483          |  | 41987          |

|                                               |                |  |                |
|-----------------------------------------------|----------------|--|----------------|
| ანარიცხები                                    |                |  |                |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ            |                |  |                |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |                |  |                |
| დარიცხული ხარჯები და გადავადებული შემოსავალი  |                |  |                |
| მესაკუთრეებისგან ნასესხები სახსრები           |                |  |                |
| ბანკებისგან ნასესხები თანხები                 |                |  |                |
| სხვა ნასესხები თანხები                        |                |  |                |
| სხვა ვალდებულებები                            |                |  |                |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | <b>35483</b>   |  | <b>41987</b>   |
|                                               |                |  |                |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                |  |                |
| სააქციო კაპიტალი                              |                |  |                |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 1608049        |  | 2020397        |
| გადაფასების რეზერვი                           |                |  |                |
| სხვა კაპიტალი                                 | 2020397        |  |                |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>3628446</b> |  | <b>2020397</b> |
|                                               |                |  |                |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>3663929</b> |  | <b>2062384</b> |
|                                               |                |  |                |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018წლის დასრულებული პერიოდისათვის

| საქმიანობის შედეგები 2018წლის                    |  |                |                 |
|--------------------------------------------------|--|----------------|-----------------|
|                                                  |  | 2018           | 2017            |
| <b>ნეტო ამონაგები</b>                            |  |                |                 |
| _საქონლის გაყიდვიდან                             |  | 2845930        | 3688191         |
| _მომსახურების გაწევიდან                          |  |                |                 |
| _სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                    |  |                |                 |
| _სხვა                                            |  |                |                 |
| <b>რეალიზებული პროდუქციის<br/>თვითღირებულება</b> |  | <b>-735551</b> | <b>-1153172</b> |
| საწყისი მარაგი                                   |  | -1437720       | -1146447        |
| შესყიდვა                                         |  | -144118        | -1150445        |
| გადამუშავების დანახარჯები                        |  |                |                 |
| საბოლოო მარაგი                                   |  | 558051         | 1143720         |
| <b>საერთო მოგება</b>                             |  | <b>2110379</b> | <b>2535019</b>  |
|                                                  |  |                |                 |
| სხვა შემოსავალი                                  |  |                |                 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                         |  | -100834        | -86394          |
| ცვეთა/ამორტიზაცია                                |  | -16400         |                 |
| გაუფასურების ხარჯი                               |  |                |                 |
| _ფინანსური აქტივები                              |  |                |                 |
| _მარაგი                                          |  |                |                 |
| _სხვა არაფინანსური აქტივები                      |  |                |                 |
|                                                  |  |                |                 |
| საპროცენტო შემოსავალი                            |  |                |                 |
| საპროცენტო ხარჯი                                 |  |                |                 |
| სავალუტო შემოსულობები და ზარალი                  |  |                |                 |
| სხვა ხარჯები                                     |  | -385096        | -428228         |
| <b>მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე</b>       |  | <b>1608049</b> | <b>2020397</b>  |

|                                                                                               |  |         |         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|--|---------|---------|
| მოგების გადასახადი                                                                            |  | 1608049 | 2020397 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი                                                          |  |         |         |
|                                                                                               |  |         |         |
| საწყისი გაუნაწილებელი მოგება:<br>გადაანგარიშებული                                             |  |         |         |
| _ საწყისი გაუნაწილებელი მოგება<br>გადაანგარიშებამდე (გასული წლის<br>საბოლოო ნაშთი)            |  | 2020397 |         |
| _გასული პერიოდის შეცდომის<br>გასწორების გავლენა                                               |  |         |         |
| _გასული პერიოდის სააღრიცხვო<br>პოლიტიკის ცვლილების გავლენა                                    |  |         |         |
| ბიოლოგიური აქტივის გასვლისას<br>გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა<br>გაუნაწილებელ მოგებაში |  |         |         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ<br>დივიდენდი)                                                   |  |         |         |
| გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი                                                           |  | 3628446 | 2020397 |

**საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2018წლის დასრულებული  
პერიოდისათვის**

| დასახელება                | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | სულ<br>კაპიტალი |
|---------------------------|--------------------|--------------------------------|-----------------|
| ნაშთი 31/12/2017          |                    | 2020397                        | 2020397         |
|                           |                    |                                |                 |
| 2018წლის<br>მოგება/ზარალი |                    | 1608049                        | 1608049         |
| სხვა ცვლილება             |                    | 412348                         |                 |

|                       |  |         |         |
|-----------------------|--|---------|---------|
| გაცემული<br>დივიდენდი |  | 0       |         |
| ნაშთი<br>31/12/2018წ  |  | 3628446 | 3628446 |

| ძირითდი<br>საშუალებები     | ღირებულება<br>2017წ | ცვეთის დარიცხვა |  | საბალანსო<br>ღირებულება 31/12/2018 |
|----------------------------|---------------------|-----------------|--|------------------------------------|
|                            |                     | 2018            |  |                                    |
| სხვა ძირითადი<br>საშუალება | 82000               | 16400           |  | 65600                              |
|                            |                     |                 |  |                                    |
|                            |                     |                 |  |                                    |

ძირითდი საშუალებების ცვეთა დარიცხული წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებებიდან აკუმულურებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ოქროს ხანა“ ს/ნ 400121408 (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 26 ივნისს. საწარმოს იურდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზირი #33ა, ბინა #13 საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, საწარმო დაფუძნებულია და წილის მფლობელები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკურები პირები: 33%-გია მურაჩაშვილი (პ/ნ01019011728), 16.5%- რატი ადეიშვილი (პ/ნ 01005029013), 16.5%- დემნა ადეიშვილი (პ/ნ01005029040), 34%- ზაქარია მეტრეველი (პ/ნ01019007309)

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, საქონლის შეძენა ხდება ადგილობრივი ბაზრიდან.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა სა ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულებამდე სიზუსტით.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოსთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

### 3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

### 3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით ძირითადად და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. საწარმოს სესხები არ ერიცხება. საწარმო არ სარგებლობს სესხებით.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### 3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხაეჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყოს გაწეული. საწარმოს სესხები არ გააჩნია. საწარმო არ სარგებლობს სესხებით.

### 3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები;

|                          |         |
|--------------------------|---------|
| შენობა-ნაგებობები        | -10%    |
| საოფისე აღჭურვილობა      | -10%    |
| ავეჯი და მოწყობილობები   | -10-14% |
| სატრანსპორტო საშუალებები | -20%    |
| სხვა ძირითადი საშუალება  | -20%    |

### 3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით, ამორტიზაციის ასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### 3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება დაშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

### 3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

### 3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

### 3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარისწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

### 3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული სა-

ქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) განსაზღვრული საგადახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს, საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:

/გია მურაჩაშვილი/

/-----/

ქვემოთსაგადასახადო კოდექსის (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო კოდექსის  
ინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:  
შეღებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიურ  
აქტიურობასთან დაკავშირებული არ არის. უსასყიდლოდ საქონლის  
მიწოდება/მომსახურეობის გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. კოდექსით  
დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი  
ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მო  
გების გარდა, იხვერება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო  
ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს, საწარმოს მიერ მი  
პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებულ  
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმარ  
გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს  
დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:

ლ. ლ. მორაჩაშვილი/

